პროფკავშირი განათლების მინისტრს პედაგოგებისთვის მეთოდური სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემას სთხოვს

16:10 11-04-2013

პროფკავშირი პედაგოგებისათვის მეთოდური და საგნობრივი სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემას განათლების მინისტრს თხოვს. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირიდან აცნობეს, პროფკავშირი საჯარო სკოლების მოსწავლეების სასწავლო სახელმძღვანელოების უფასოდ უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილებას მიესალმება.

"ვუერთდებით პედაგოგებისა და მშობლების პოზიტიურ განწყობას უმნიშვნელოვანესი საკითხის უმოკლეს დროში გადაწყვეტის საქმეში და აღვნიშნავთ, რომ ყოველგვარი უარყოფითი დამოკიდებულება ამ პროცესის მიმართ უსაფუძვლოა. ქვეყნისათვის მთავარია მომავალი თაობის - ყველა მოსწავლისათვის განათლების მიღების მიზნით ეფექტური პირობების შექმნა და არა ცალკეული ბიზნესის, პატარა სეგმენტის ინტერესების გათვალისწინება", _ აღნიშნავენ პროფკავშირში.

ამასთან, პროფკავშირი თხოვნით მიმართავს განათლების მინისტრს, განიხილოს საკითხი პედაგოგებისათვის მეთოდური და საგნობრივი სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემის შესახებ.

მასალის გამოყენების პირობები